ლელა

16-23 სექტემბერი 1994 წ. ● №31 (10899)

ფასი 80 000 კუპონი, ან 200 რუბლი.

ბამოდის 1934 წლის 7-ეპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაბარ ლომაძის ფოტო.

ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში ● უეფას თასი

იოჰან კრანკლი: „დინამო“ ევროპაში მომავლის გუნდია

● თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 13 სექტემბერი.

უეფას თასის გათამაშების 1/32 ფინალი. „დინამო“ (თბილისი, საქართველო) — „ტიროლი“ (ინსბრუკი, ავსტრია) 1-0 (1-0). მსაჯები: მ. პირო, ლ. მათეუსი, ა. ჟერარი, სათადარიგო — მ. ჟავო (უველანი — ბელგიიდან). უეფას დელეგატი — ჟ. უიუბრეჰტი (ჰოლანდია).

„დინამო“: ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი (ცქიტიშვილი), ა. არველაძე (დიდავა), ჯამარაული, რ. არველაძე, ქინქლაძე, შ. არველაძე.

„ტიროლი“: კოხი, ჰარტმანი, შტროიტერი, ვაცინგერი, ფაიგერი, კეჰლერი, ჩერნი, პაოლო, იანშიტსი, შტიოგერი, სანე.

გოლი: რ. არველაძე (პენალტით).

გაფრთხილეს: ჰარტმანი, შტროიტერი, შელია, კეჰლერი, ჩერნი.

გააძევეს: შელია.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე იოჰან კრანკლმა მაღალი შეფასება მისცა თბილისელთა თამაშს: „თქვენი ბიჭები, როგორც მოველოდი, ძალიან ტექნიკურები არიან. განსაკუთრებით გამოვყოფ ქინქლაძეს. სამნივე ძმა არველაძეს, ჯამარაულს, ზოიძეს. პირველ ტაიმში ძალზე გაგვიჭირდა, მეორეში კი შეგვეძლო გაგვეთანაბრებინა ანგარიში. განმეორებითი მატჩის დიდი იმედი მაქვს“.

როგორც ვვარაუდობდით, თბილისელებმა დასაწყისშივე მედგრად შეუტიეს „ტიროლის“ კარს. სტუმრებმა შეგნებულად დათმეს მინდვრის ცენტრი და 7-8 კაცით იცავდნენ თავს, წინ ისინი ძირითადად სენეგალელი სანეს და იანიშიტსის სწრაფი გარღვევების იმედით იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ინსბრუკელებმა დინამოელთა კარში პირველად მე-15 წუთზე დაარტყეს (სანე), მანამდე კი ჩვენებმა, სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც შექმნეს სახიფათო მომენტი ბრწყინვალე გოლკიპერის ანდრეას კოხის კართან. სტუმრებმა თანდათან ალღო აუღეს დინამოელთა შეტევებს, რომლებიც ძირითადად ცენტრიდან ცდილობდნენ შესულიყვნენ ავსტრიელთა საჯარიმო მოედანზე. ტაიმის შუაგულში „ტიროლმა“ გაათანაბრა თამაში და რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელა (სანე, შტიოგერი) და რომ არა ირაკლი ზოიძის თავგანწირული მოქმედება, ყოველივე ცუდად დამთავრდებოდა. „დინამომ“ აქვე სწრაფი შეტევა განახორციელა და ავსტრიელთა მეკარეს ისღა დარჩენოდა აკრძალული ილეთით შეეჩერებინა გოჩა ჯამარაულის გარღვევა. რევაზ არველაძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი — 1-0. უნდა ითქვას, რომ ავსტრიელებმა თბილისელ ფეხბურთელებს ძალისმიერი, დროდადრო უხეში თამაში შესთავაზეს, რისთვისაც მსაჯმა მიშელ პირომ ყვითელი ბარათების „ფრიალი“ ატეხა. სამწუხაროდ, ამ „ფრიალში“ ჩვენი დაცვის წამყვანი ძალა მურთა შელიაც ორჯერ მოყვა, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს და „დინამოს“ უმცირესობაში მოუწია მთელი მეორე ნახევრის თამაში.

როგორც მოველოდით, მეორე ტაიმი სტუმართა ერთგვარი უპირატესობით წარიმართა, ზოიძისა და მცველების თავგანწირული თამაში რომ არა, ისინი საწადელსაც მიაღწევდნენ.

განმეორებითი მატჩი ორი კვირის შემდეგ გაიმართება, დინამოელებს მეტად მძიმე ბრძოლის გადატანა მოუწევთ ინსბრუკში.

ჯემალ ჭიკაშვილი

საქართველოს პრიმენული ჩემპიონატი ფეხბურთში

პირველი ჯგუფი
IV ტური, 10 სექტემბერი

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ივერია“ (ხაშური) 2-1

„მეტალურგი„ (რუსთავი) — „დილა“ (გორი) 0-0

„დინამო“ (ზუგდიდი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 6-1

„საპოვნელა„ (თერჯოლა) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1-4

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 0-3

„კახეთი“ (თელავი) — „დინამო“ (ბათუმი) 1-0

„დინამო“ (თბილისი) — „სამტრედია“ (სამტრედია). თბილისელთა თხოვნით ეს მატჩი გადატანილია.

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ტორპედო“ (ქუთაისი). ქუთაისელი ფეხბურთელები გაიფიცნენ (ეკონომიკური მოთხოვნილების გამო) და ფოთში არ ჩავიდნენ.

მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ვერცხლი, ბრინჯაო...

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე (მოეწყო ფინეთში) საქართველოს მოჭიდავეებმა ერთი ვერცხლის (ბაკურ გოგიტიძე, 100 კგ) და ერთიც ბრინჯაოს (გელა პაპაშვილი, 48 კგ) მედალი მოიპოვეს, თანაც გოგიტიძე ფინალში დამარცხდა სეულის ოლიმპიადის ჩემპიონ ანკეი ვრონსკისთან (პოლონეთი).

აღსანიშნავია კიდევ ორი ჩვენი თანამემამულის წარმატება, რომლებიც ემიგრირებული არიან უცხოეთში. გიორგი კოღუაშვილი (რუსეთი, 90 კგ) უკვე მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ახალგაზრდა გიორგი სალდაძემ (უკრაინა, 100 კგ) კი ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა.

„შევარდენი“ ულოცავს

პროფკავშირების საქართველოს ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური სამჭიდაო დამადგენიდან 70 წლისთავს ულოცავს ამავე სპორტსაზოგადოების რუსთავის საქალაქო სამჭიდაო თავზეგადმარეს **ირაკლი მურტაზოვს.**

პროფკავშირების საქართველოს ეროვნული სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური სამჭიდაო დამადგენიდან 50 წლისთავს ულოცავს ამავე სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური სამჭიდაო ჭიდაობის სახეობების განყოფილების გამგეს **ნოდარ ზვიადაძეს.**

რედაქტორის სვეტი

საბედნიეროდ, არის!

წელეულს ქართულ ფეხბურთს 100 წელი უსრულდება. თარიღი, ცხადია, საგულისხმოა, მით უფრო, სუკუნოვანი ოუბილე დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მესამე ყრილობას დაემთხვა. არის ამაში რაღაც ნიშანდობლივი.

უკვე მესამე ყრილობა! ფეხბურთმა, ფაქტობრივად, წინ გაუსწრო მოვლენებს, ჩვენში ყველაზე ადრე მოიპოვა რეალური დამოუკიდებლობა, ეს პროცესი კი როგორ დაიწყო, „ლელოს“ მკითხველმა კარგად იცის. ალბათ, გახსოვთ, მაშინ ჩვენმა საფეხბურთო ბოიკოტმა, ნგრევისპირად მისულ საბჭოეთში, გაცილებით მეტი ხმაური და გოდება გამოიწვია, ვიდრე ლიტვაში კომპარტიის დაშლამ.

ცნობილია, როცა ადამიანები ერთი მიზნისკენ მტკიცედ მიდიან, უთუოდ აღწევენ საწადელს. კიდევ რომელი ეროვნული საქმე მივიყვანეთ ბოლომდე, ანდა სხვა რომელ სფეროში ვართ უფრო ინტეგრირებული მსოფლიო სტანდარტების დონეზე? ანალოგის მოძებნა ცხადია, გაგიჭირდება, ფეხბურთმა კი ეს რამდენადმე მაინც შეძლო.

ქვეყანაში მძიმე პერიოდის მიუხედავად, თვითდამკვიდრების გზით დამაჯერებლად იარა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ. ფეხბურთი სხვა არისო, ნუ იტყვით. ნებისმიერი დარგის ჩავარდნა რომ გამართლოს, დღეს ყველას პირზე აკერია ასეთი ფრაზა: „რაც ცხოვრებაა, დარგიც ისეთია“ კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა იყოს ფეხბურთი გამონაკლისი? საბედნიეროდ, არის! თუმცა, იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ საერთო პრობლემებმა არ დაასხვა დაღი ჩვენში ფეხბურთის განვითარებას, მთავარი ისაა, საქართველოში საერთოდ რომ არ ჩაკვდა ეს პოპულარული თამაში.

ბევრი ასე ფიქრობს: რაც შემოგვრჩა და ხელიდან არ წასულა — ასეც უნდა ყოფილიყო, გაანალიზება თუ რა ძალისხმევით მოხერხდა ეს, არ ხარს. მერწმუნეთ, ქართული ფეხბურთი დღეს რომ ისე იყოს განადგურებული, როგორც ბევრი სხვა რამ, ლაკონური გამართლება ამასაც მოეძებნებოდა — „რაც ცხოვრებაა, ისაა ფეხბურთიც!“ არადა, ფეხბურთი გაცილებით უკეთესი გვაქვს. ყველამ თავის დარგზე აგოს პასუხი, ქართული ფეხბურთი კი, ეს ერთი დიდი ეროვნული საქმეთაგანი, უდავოა, მისი მესვეურების უნარმა და პასუხისმგებლობამ იხსნა. ამის დაუნახაობა არ შეიძლება. გზა, რომელიც ჩვენმა ფეხბურთის ფედერაციამ განვლო, უურადღებასა და შეფასებას მრავალი წახნაგით იმსახურებს და არა მხოლოდ სპორტულ სამყაროში.

ცხოვრება თანდათან ლაგდება და წესრიგდება, მით უფრო ხილული ხდება ვინ რა გააკეთა ან შეეძლო და არ გააკეთა. ჩვენმა ფედერაციამ ვეებერთელა საფეხბურთო მეურნეობას რომ წარმოუდგენლად მძიმე ეთარებში გაუწია მესაჭეობა, ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას არ უღალატა, ფაქტია. ტატანური შრომაა გაწეული შინ თუ გარეთ, ამ ჭაპანწყვეტაში ვინმეს თუ რაიმე არ ეკიტნავებოდა და ბოზიცია არც ახლა შეუცვლია, მისი ნებაა, დღეს ხომ იმდენ აზრს აქვს ხელშეუკარელობის პრეტენზია, რამდენიც ამის შურველია. ვიმეორებთ, მთავარია შედეგი! საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა ალალმა ავტორიტეტმა მნიშვნელოვნად განაპირობა საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში ჩვენი წარმატებული ინტეგრაცია. ცხადია, გვქონდა დასანანი შეცდომები, რომელთა გამოსწორება ყველას ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ, ნურავინ იტყვის, მსოფლიო საფეხბურთო ელიტის ჩვენსკენ კვლავ შემობრუნებაში, ვინმეს [illegible] მთავარი როლი და არა თვით ჩვენს ფედერაციას. საერთაშორისო კავშირში [illegible] ხალხედი გახდა, მისი გაღრმავება-განმტკიცება კი ყველაზე უკეთ მათ ხელეწიფებათ [illegible] ეს წამოიწყო.

ურიგო არ იქნება დავწერ ხუთ კუთხითაც შევხედოთ. ის, რაც ჩვენში ვერავინ [illegible] რაფერმა შეძლო, შეძლო ფეხბურთმა — შესანიშნავებით თუ მრწამსი [illegible] ადამიანები ისევ ერთ ენაზე ავკადაპარაკა, ისევ გვერდიგვერდ დაგუნდა ტრიბუნებზე, [illegible] ეწყო ბარიკადების რომელ მხარეს ვიდექით თუ ვდგევართ. ფეხბურთმა, ეტყობოდით, ამ გადარჩენილმა ეროვნულმა სიმდიდრემ, ადამიანებს რწმენა ჩაუსახა, [illegible] შეავსო უიმედობის ვაკუუმი. თუ ვერც ამას დავინახავთ, არ დავუსახელეთ, [illegible] ასეთად არ გავიხდით, კიდევ დიდხანს მოგვწევს, საერთოდ, ბოროტში ხელის ცეცხლით სარული.

ძნელნედობის ეამს მიზნის ერთგულებისათვის, ძირადად [illegible] ქართული ფეხბურთის დამსახურების წინაშე. ვფიქრობ, ეს [illegible] არ არის.

FIDE
GENS UNA SUMUS

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ცნობები ტილბურგიდან

ჭადრაკი. მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი. I ტური. პენგი (ჩინეთი) — ფოიშორი (რუმინეთი) 1:0, მარიჩი (იუგოსლავია) — კრამლინგი (შვეიცარია) 1:0, ე. პოლგარი (უნგრეთი) — ჩიბურდანიძე 1:0, იოსელიანი — არახამია 0,5:0,5. II [illegible] ოვიამოვა (უკრაინა) — [illegible]ჩი — ფოიშორი [illegible], პოლგარი — კრამლინგი 0,5:0,5, იოსელიანი — ჩიბურდანიძე 0,5:0,5. III ტური. პოლგარი — ფოიშერი 1:0, მარიჩი — გალიამოვა 0,5:0,5, იოსელიანი — კრამლინგი 0,5:0,5, არახამია — ჩიბურდანიძე 0,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ: პოლგარი — 2,5 (3-დან), მარიჩი — 2 (3), პენგი — 1,5 (2), იოსელიანი — 1,5 (3), არახამია — 1 (2), გალიამოვა — 1 (2), ჩიბურდანიძე — 1 (3), კრამლინგი — 1 (3), ფოიშერი — 0,5 (3).

ინფორმაცია

ბრაზილია — „დანარჩენი სამყარო“

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან მეტად საყურადღებო ცნობა მოვიდა: ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც მსოფლიოს XV ჩემპიონატზე ოქროს მედლები მოიპოვა, 1995 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სტადიონზე შეხვდება „დანარჩენი სამყაროსაგან“ დაკომპლექტებულ ნაკრებს. მატჩი საქველმოქმედო იქნება.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია 17 სექტემბერს, 16 საათზე ჭადრაკის სასახლეში აწყობს დამსახურებული მწვრთნელის, საერთაშორისო არბიტრის, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის ბორგბი ბაჩეჩილაძის ხსოვნის საღამოს. საღამო გ. ბაჩეჩილაძის დაბადებიდან 80 წლისთავს ეძღვნება.

თურქეთი ელიტისაკენ მიიწევს, რაშიც ქართველ მშვილდოსანთა წვლილიცაა

ბადაჯარბებულად ნათქვამი სულაც არ იქნება, რომ თურქეთში ახლა საერთაშორისო ასპარეზობათა ნამდვილი ბუმია, რომლის მიზანია სპორტული ქვეყნის სახელი დაუმკვიდროს მასპინძლებს. ამ დღეებში მშვილდოსანთა საკმაოდ სოლიდურ საერთაშორისო ასპარეზობას უმასპინძლა ქალაქმა კასტამონამ. ცეცხლის ხაზზე იყვნენ თურქეთის (კასტამონისა და ანკარის ნაკრები), ბულგარეთის, კვიპროსისა და საქართველოს წარმომადგენლები. ერთადერთი მშვილდოსანი ოლგა იაკუშევა იცავდა ბელარუსის ღირსებას, რომელთანაც „ოლიმპიური წრის" ფინალში ქართველ მშვილდოსანს ასმათ დიასამიძეს მოუხდა ურთიერთობის გარკვევა. ასმათმა მხოლოდ ერთი ქულით (104-105) დათმო გამარჯვება. მესამე ადგილზე გავიდა მასპინძელი ზეკი ქესქინია, მეოთხეზე — ი ბილისელი ხათუნა ნარიმანიძე.

ვაჟთა პირად პირველობაში ბულგარელმა ივან ლოტოვმა (105 ქულა) აჯობა ყველას, მეორე ადგილზეა ადგილობრივი მშვილდოსანი ალპერ აქსაიოღლუ (102). ანკარელ ქერემ ოღლუსა და თბილისელ დავით ლეკვეიშვილის დუელი მესამე ადგილისათვის ქართველი სპორტსმენის გამარჯვებით აღინიშნა — 95-85. მანვე 70 მეტრზე სროლაში (18 ისარი) საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა.

ქალთა გუნდურ პირველობაში ტოლი არ ჰყავდათ ქართველ მშვილდოსნებს, მათი თანაგუნდელი ვაჟები კი მეორე ადგილს დასჯერდნენ, პირველზე ბულგარელები არიან.

მსოფლიო ტექნიკური შედეგები

ველოსპორტი. „ტურ დე ლავენირი". პროლოგი. დისტანცია 5,9 კმ. 1. ედი სენიორი — 6.54,0, 2-3, სტეფან ელო და დიდიე რუ (სამივე — საფრანგეთი) — 7.09,0 (თითოეულს). უძლიერესთა ათეულში, აღნიშნული ველოსიპედისტების გარდა მოხვდა კიდევ ორი ფრანგი, თითო ავსტრიელი, გერმანელი, შვედი, ესპანელი და ნიდერლანდელი სპორტსმენი.

ცხოვრების დასასრული

1932 წლის 21 ივნისს მან თავისი მთავარი ბრძოლა მოიგო ლონგ-აილენდის რინგზე. სწორედ ამ დღეს გახდა ბოსტონელი პროფესიონალი, 30 წლის ჯეკი შარკი მსოფლიო ჩემპიონი მძიმე წონაში. ამერიკელებმა თანამემამულის გამარჯვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს, ვინაიდან ჩემპიონის ოქროს ქამარი გერმანიიდან ამერიკაში დაბრუნდა. უმძიმეს, 15-რაუნდიან ბრძოლაში მასაჩუსეტსის შტატის მკვიდრმა დაამარცხა მაქს შმელინგი.

შარკი არ იყო მისი ნამდვილი გვარი. უფრო სწორად, მას შემდეგ, რაც ასე თუ ისე, გაითქვა სახელი პროფესიულ რინგზე, საჭირო გახდა ამერიკელებისთვის ძნელად გამოსათქმელი გვარის — იოზეფ ზუკაუსკასის შეცვლა მოკლე და სხარტი ფსევდონიმით. მწვრთნელის რჩევით იოზეფი გახდა ჯეკი, ზუკაუსკასი კი შარკი.

სხვათა შორის, შმელინგსაც მოუხდა სერიოზული კორექტივების შეტანა პირადობის მოწმობაში. პირველად რომ გამოვიდა პროფესიულ რინგზე, მისი წარდგენისას დიქტორმა კინაღამ ენა წაიტეხა: მაქსიმილიან ადოლფ ოტო ზიგფრიდ შმელინგი მართლაც უცნაურ ანაქრონიზმად ჟღერდა ლაკონურობას შეჩვეული ამერიკელებისთვის. ამიტომაც მეორე შეხვედრიდან ქერათმიანი გერმანელი უკვე მაქს შმელინგად იწოდებოდა.

ჯეკი შარკი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსა და ოქროს ქამარს ზუსტად ერთი წელი, ერთი თვე და რვა დღე ატარებდა. 1933 წლის 29 ივლისს იმავე ლონგ აილენდში გაიმართა მისი შეხვედრა იტალიელ გიგანტთან პრიმო კარნერასთან. მეექვსე რაუნდის მიწურულს შარკი ლრმა ნოკაუტში აღმოჩნდა. ისე, რომ შემდგომში აღარასოდეს გასჩენია რინგზე დაბრუნების სურვილი.

ამ ლიტვური წარმოშობის ამერიკელს თანამედროვენი ჰკვიან და პრაქტიკულ კაცად მიიჩნევდნენ. შარკმა აღარ ისურვა მატჩ-რევანში იტალიელთან, 1936 წელს კი სამუდამოდ დატოვა პროფესიული სპორტი და დანაზოგი ფულით მშობლიურ ბოსტონში პატარა რესტორანი გახსნა. ხვი კმაყოფილი იყო თავისი ბიზნესით, დროდადრო კი გამოჩნდებოდა ხოლმე რინგზე და ამა თუ იმ პრესტიჟულ შეხვედრას მსაჯობდა. სპორტულ წრეებში ცნობილი იყო, როგორც მაღალი პროფესიონალი, ობიექტური და მოუსყიდავი არბიტრი.

ამ დღეებში 92 წლის მსოფლიოს ექსჩემპიონი (იგი დაიბადა 1902 წლის 26 ოქტომბერს) გარდაიცვალა თავის მშობლიურ ბოსტონში ოჯახის წევრთა და საზოგადოებრიობის მზრუნველობით გარემოსილი.

„ჰაფმენის შტოპორი"

ნიკიტა ხრუშჩოვის ცნობილ მოწოდებას „დავეწიოთ და გავასწროთ ამშ"-ს თავის დროზე გამოეზმაურენ მხოლოდ... ჭოკით მხტომელები. ყოველ შემთხვევაში მძლეოსნობის ამ სახეობაში ამერიკელები კარგა ხანია კონკურენციას ვერ უწევენ რუსებს.

ბოლო დროს შტატებში იმედის რაღაც ნაპერწკალმა გაიბრწყინა: გამოჩნდა არც ისე ახალგაზრდა მხტომელი სკოტ ჰაფმენი, რომელიც თავისი 30 წლიან მიუხედავად პერსპექტივების მქონე ათლეტად ითვლება. საქმე ისაა, რომ ჰაფმენმა უნებლიედ საფუძველი ჩაუყარა თამასაზე გადავლების ახლებურ მეთოდს, რომელსაც უკვე შეარქვეს კიდეც „ჰაფმენის შტოპორი".

ერთი შეხედვით ახალი აქ არაფერია. სპორტსმენი სიმაღლეს თავდაპირველად ერთი ფეხით სძლევს, მერე ჰაერში ტრიალდება სპირალისებრად და მეორე ფეხის გადატანით ამთავრებს ხტომას. ეს მეთოდი, როგორც ორი წვეთი წყალი წააგავს გადავლების მეთოდს სიმაღლეზე ხტომაში, რომელიც შემდგომში ლეგენდარულმა „ფოსბერი ფლობმა" შეცვალა...

წლეულს, 18 ივნისს ამ ახალი მეთოდით სკოტ ჰაფმენმა 5 მეტრი და 97 სანტიმეტრი დასძლია, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სიმაღლის მარაგი ამერიკელს საკმარისზე მეტი ჰქონდა, რაც საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სულ მალე იგი შეეცდება შეუტიოს მსოფლიოს რეკორდს.

ფაფუ, ტელეფონი!

ტელეფონების აპარატებზე ნადირობა და დაუფარავი ქურდობა ახლა უკვე თითქმის განვლილ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს. სამაგიეროდ ფეხს იკიდებს ტელეფონებთან დაკავშირებული ყაჩაღობის ახალი ფორმა — თვით ტელეფონის ნომრების ქურდობა. როგორ? აი ასე: მიხვალთ სამსახურში და ერთ მშვენიერ დღეს თქვენი ტელეფონი დუმს, ერთხანს იფიქრებ, რომ ალბათ ხაზია დაზიანებული ან რაიმე დავალიანება გაქვს, მერე ყველაფერი გაირკვევა და აღმოჩნდება, რომ თქვენი ნომერი თურმე უგზო-უკვლოდაა დაკარგული. სწორედ ასე დაემართა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო ბაზის ტელეფონის ნომერს — 37-00-36. სად და ვის არ მიაკითხეს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ბაზის ხელმძღვანელებმა, ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციამ (ამ ნომრით ისინიც სარგებლობდნენ), მაგრამ კონკრეტული პასუხი ვერსაიდან მიიღეს. ნუთუ მართლა აქამდე შეიძლება მივიდეს განუკითხაობა? არადა, ტელეფონის ეს ნომერი 30 წელი ეშსახურებოდა ბაზას, იგი რეგისტრირებულია ყველგან ცნობარებში, ამ ნომრით უკავშირდებოდა საერთაშორისო ფედერაცია და სხვა ორგანიზაციები კოლეგებს.

ახლა კი...

ფაფუ ტელეფონი!

ჭადრაკისთვის ყველა ჭაბუკია

თბილისის ვეტერანთა 1994 წლის ჩემპიონატში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის უნდა გამოვლენილიყო არა მარტო დედაქალაქის ჩემპიონი, არამედ საქართველოს პირველობის 6 მონაწილეც, იქ კი ევროპის ჩემპიონატის საგზური გათამაშდება. სწორედ შეჯიბრების დროს გახდა ცნობილი, რომ საქართველოს წარმომადგენელმა დიდოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ მსოფლიო პირველობაზე ვეტერანთა შორის, რომელიც ქ. ბილში (შვეიცარია) გაიმართა, მეხუთე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი კი გახდა დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი (რუსეთი), მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს დიდოსტატებმა ევგენი ვასიუკოვმა, ალექსი სუეტინმა (ორივე — რუსეთი) და ანატოლი ლეინმა (აშშ).

თბილისის ჩემპიონატში 11 შესაძლებლიდან 9,5 ქულით I-II ადგილები გაიყვეს გივი გამრეკელმა (მას უკეთესი კოეფიციენტი აქვს) და გივი ბარბაქაძემ. ჩემპიონის წოდება ორივეს მიენიჭა. 8,5 ქულით მესამე ადგილზეა სერგო პეტროსიანი, 8 ქულით მეოთხეზე — ოთარ თურქესტანიშვილი. საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ვლადიმერ აბაშიძემ (6 ქულა) და მერაბ ჩაჩუამ (5,5).

ამის შემდეგ 11 მოჭადრაკის მონაწილეობით მოეწყო უკვე ტრადიციული შეჯიბრება „სწრაფ ჭადრაკში", სადაც მთელი პარტია ერთ საათს გრძელდება (თითოეულს 30 წუთი ეძლევა).

აქ ათი შესაძლებლიდან 8-8 ქულით I — III ადგილები გაიყვეს გივი გამრეკელმა, თეიმურაზ ქაცარავამ და სერგო პეტროსიანმა. 6-6 ქულით IV-V ადგილებზე არიან ვლადიმერ აბაშიძე და რევაზ სიგუა.

საქართველოს პირველობა ვეტერანთა შორის 20 სექტემბერს დაიწყება.

„ლელოს" კორ.

სადაც ზრუნავენ, ფეხბურთს არ უჭირს

ჩვენში საფეხბურთო კლუბები თვითდაფინანსებაზეა და ზოგან, სადაც თავი ვერ გაართვეს საქმეს, შედეგებიც საკალაია. ზოგიერთი გუნდი დაიშალა ან დაშლის პირას არის მისული. ასე, მაგალითად, მეექვსე ეროვნულ ჩემპიონატში ვეღარ მონაწილეობენ ახმეტის „ბახტრიონი", მცხეთის „არმაზი", საჩხერის „ჩიხურა", მუხრანის „მუხრანი". განსაკუთრებით დასანანია, რომ ვერ გამოიყენეს გუნდები, ცდება და პარტახდება ნაფარეულის და აბაშის მშვენიერი სპორტული ბაზები. ამ საკალო ფონზე სასიამოვნო სიურპრიზად შეიძლება ჩაითვალოს ორნლიანი შესვენების შემდეგ ქარელის საფეხბურთო კლუბ „იბერიის" აღორძინება, რომელსაც უკავშირებენ რაიონის გამგეობის (თავრე — თ. გოჩაშვილი) ფეხბურთისადმი სანიმუშო ზრუნვასა და სიყვარულს. „იბერიას", რომელსაც სათავეში უდგანან პრეზიდენტი თ. კოპაძე და მთ. მწვრთნელი მ. აკოფიაწი, განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევს გამგეობის პირველი მოადგილე, რაიონის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე ა. ყიფიანი. ქარელში ყოფნის დროს ადგილობრივმა ფეხბურთის მოყვარულებმა გვთხოვეს „ლელოს" ფურცლებზე მადლობა ვუთხრათ მას ამ სიხარულისათვის.

თავდაპირველად სტატისტიკა და მშრალი ციფრები. 24-28 აგვისტოს სტამბულში (თურქეთი) მოეწყო მსოფლიოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 48 ქვეყნის 268 წარმომადგენელი.

წონითი კატეგორიების მიხედვით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

48 კგ: 1. ა. ვილა (კუბა), 2. სუნ ვან იონგი (კორეა), 3. პ. იუმაშანოვი (რუსეთი).

52: 1. ვ. იორდანოვი (ბულგარეთი), 2. ა. აბდულაევი (აზერბაიჯანი), 3. გ. რ. მოჰამადი (ირანი)... თ. ყულოშვილი (საქართველო) — უადგილოდ, ათეულში ვერ მოხვდა.

57: 1. პ. ალეხანდრო (კუბა), 2. მ. თალაი (ირანი), 3. ბ. უმახანოვი (რუსეთი).

62: 1. მ. აზიზოვი (რუსეთი), 2. ს. სმალი (ბელარუსი), 3. ჯ. სკალაჩი (იტალია)... დ. ბოღოსიანი (საქართველო) — უადგილოდ, ათეულში ვერ მოხვდა.

68: 1. ა. ლეოპოლდი (გერმანია), 2. ხ. როდრიგესი (კუბა), 3. კ. უმარალიევი (ყაზახეთი).

74: 1. ტ. გეილანი (თურქეთი). 2. ვ. რაიკოვი (მოლდოვა), 3. ჯ. ბეჰვაზი (ირანი).

82: 1. ლ. ჟაბრაილოვი (მოლდოვა), 2. ს. ოზთურქი (თურქეთი), 3. ჰ. ჰესტონერი (გერმანია)... დ. ხურცია (საქართველო) — უადგილოდ, ათეულში ვერ მოხვდა.

90: 1. რ. ქადემი (ირანი), 2. მ. ხადარცევი (რუსეთი), 3. დ. მელვინ (აშშ)... ე. კურტანიძე (საქართველო) — X [illegible].

100: 1. ა. [illegible] (გერმანია), 2. დ. მაჰომედოვი (აზერბაიჯანი) 3. [illegible] (რუსეთი).

130: 1. მ. დემირი (თურქეთი), 2. ბ. ბაუმჰარტნერი (აშშ), 3. ა. მედვედიევი (ბელარუსი)... ზ. თურმანიძე (საქართველო) — X ადგილი.

გუნდური ადგილები: 1. თურქეთი — 53 ქულა; 2. რუსეთი — 53; 3. კუბა — 50; 4. ირანი — 50; 5. გერმანია — 38; 23. საქართველო — 2.

მედლები, როგორც ხედავთ, ცამეტი ქვეყნის ათლეტებმა გაინაწილეს. ყველაზე მეტი ჯილდო — 5 რუსეთის გუნდს ხვდა, თუმცა საერთო ჩათვლაში იგი მეორე ადგილზე გავიდა. თურქებმა და რუსებმა თანაბარი ქულები დააგროვეს, მაგრამ მასპინძლებს მეტი ოქროს მედალი აღმოაჩნდათ და ამან გადაწყვიტა გუნდური ბრძოლის ბედი. ანალოგიურ ვითარებაში კუბას უპირატესობა მიენიჭა ირანთან.

	ო.	ვ.	ბ.
თურქეთი	2	1	-
კუბა	2	1	-
გერმანია	2	-	1
რუსეთი	1	1	3
ირანი	1	1	2
მოლდოვა	1	1	-
ბულგარეთი	1	-	-
აზერბაიჯანი	-	2	-
ბელარუსი	-	1	1
აშშ	-	1	1
კორეა	-	1	-
იტალია	-	-	1
ყაზახეთი	-	-	1

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ პრიზიორთა სიაში წარმოდგენილია ყოფილი საბჭოთა კავშირის ხუთი რესპუბლიკა. არ არის მასში საქართველო — დიდი ტრადიციებისა და შესაძლებლობების ქვეყანა, რომელმაც ბოლო დროს საგრძნობლად დათმო პოზიციები სპორტში, ფაქტობრივად, ყველა დონეზე. ამას, ცხადია, აქვს თავისი მიზეზები და მათ შესახებ არაერთხელ გვქონია საუბარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. გულდასაწყვეტია მხოლოდ ის, რომ ანალოგიურ, ან დაახლოებით მსგავს სიტუაციაში იმყოფებიან სხვა ყოფილი რესპუბლიკებიც, რომლებიც მაინც ახერხებენ თავის გამოჩენას სხვადასხვა ტურნირში და, ასე გასინჯეთ მსოფლიო ჩემპიონატშიც კი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვეულისხმობთ მოლდაველთის ნაკრებს და მის თვისობრივ ნახტომს ასეთ საპასუხისმგებლო დონეზე. მოლდაველებმა ამ ჩემპიონატში წარმატებას, უმთავრესად, იმპორტის ხარჯზე მიაღწიეს (ლუკმან ჟაბრაილოვიცა და ვლადიმერ რაიკოვიც სულ ახლახან რუსეთის ფედერაციის ღირსებას იცავდნენ) იმ დროს, როცა საქართველო თავის საუკეთესო ძალებს ძირითადად „გასცემს". მაგრამ, ვფიქრობთ, ეს დროებითი მოვლენაა, რასაც მნიშვნელოვანწილად ჩვენი უაღრესად მძიმე ეკონომიკური პირობები განაპირობებს. და ალბათ, სულ მალე, ნაწილობრივ მაინც დავიბრუნებთ დაკარგულ პოზიციებს. ყოველ შემთხვევაში ასეთია ჭიდაობის ყველა ქომაგის, ჭეშმარიტი გულშემატკივრის სურვილი.

„ამ ეტაპზე მეოთხეა

ახლა ორიოდე სიტყვა ქართველი მოჭიდავეების გამოსვლებზე. ჩვენი გუნდი, მოგეხსენებათ, არასრული შემადგენლობით ასპარეზობდა.

52 კგ. თამაზ ყულოშვილი (გარდაბნის რაიონი, სოფელი გამარჯვება). ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა ახალგაზრდებში პირველი შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში მოუგო ადგილობრივი გუნდის წარმომადგენელს ა. ორიელს. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 5:5. დამატებით დროში თამაზმა აიღო ქულა და გაიმარჯვა. თურქებმა, როგორც ეს ხშირად მომხდარა, გააპროტესტეს შედეგი. სააპელაციო ჟიური იძულებული გახდა „დაეტრიალებინა" ვიდეოფირი. გამოირკვა, რომ ქართველ მოჭიდავეს ეს ორთაბრძოლა მოგებული ჰქონია ჯერ კიდევ ძირითად დროში ანგარიშით 4:1. მსაჯებს, ბუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საგაზეთო მასალა, რომელსაც აქვე გთავაზობთ, სულ ახლახანს მოეზადდა. საბოლოოდ, ბატონი ავთანდილი უდროოდ გამოგვეცალა ხელიდან და ახლა ამ წერილისა და ნეკროლოგის გამოქვეყნება ერთდროულად გვიხდება.



ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

ვსევოლოდ გოგროვი: ჭკუასელმა გაამდიდრა და... გააღარიბა ფეხბურთი!

„ავთანდილ ჭკუასელმა გაამდიდრა და... გააღარიბა ჩვენი ფეხბურთი! — აღმოხდა ერთხელ ლეგენდარულ კესელოდ ბობრიკს.

დიახ, ამ სახელგანთქმულ ოსტატს დიდად მოსწონდა თბილისელთა ნიჭიერი გარეშემბრძოლი. აკი პირველმა ურჩია ბორის არკადევს შეეყვანა ახალგაზრდა დინამოელი სსრკ ოლიმპიურ ნაკრებში, ჰელსინკის XV თამაშებისათვის რომ ემზადებოდა.

რა შუაშია აქ „ვაღარიბა“? — იკითხავს მკითხველი.

საქმე ისაა, რომ ა. ჭკუასელმა ნაადრევად, 27 წლისამ, დაანება თავი თამაშს და სულ 7 სეზონი გამოდიოდა დიდ ფეხბურთში. როგორ არ გავიხსენოთ აქ მოსკოვის „სპარტაკის“ ცნობილი თავდამსხმელი გიორგი იარცევი (ამ ცოტა ხნის წინათ ტელერეპორტაჟები მიჰყავდა ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატიდან), რომელიც დიდ ფეხბურთში სწორედ 27 წლისა მოვიდა?!

თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, „ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა“, ეს, უპირველესად, ავთანდილ ჭკუასელს ეხება. მეტად დახვწილი, მაღალტექნიკური, რაინდული, რომ იტყვიან, ჯენტლმენური ოსტატი გახლდათ.

... 6 წლისა იყო, როდესაც პირველად დასწრო სამდგილ ფეხბურთს და თანაც როგორს — ბასკთა ლეგენდარული გუნდის თამაშს თბილისის „დინამოსთან“ 1937 წლის 24 ივლისს. სტადიონზე უფროსმა ძმამ ხუტამ წაიყვანა. არა, ძმები ჭკუასელები, უბნის ბიჭებისაგან განსხვავებით, მატჩზე შესასვლელად წვეტიან რკინის ღობეზე არ გადაძვრალან — ბატონმა ნოემ მოუტანა შვილებს ორი ბილეთი სამხრეთი ტრიბუნის მეორე იარუსზე.

— მომატყუა ხუტამ — ეღიმება 62 წელს გადაცილებულ ვეტერანს — სტადიონზე კაბვეტებს არიგებენო და აბა როგორ არ წავყვებოდი. თამაშზე პირველი ნომერი ტროლეიბუსით — თბილისში იმზანად ერთადერთი მარშრუტით — წავედით, უფრო ზუსტად კი, ზემელიდან სტადიონამდე ტროლეიბუსის ბუფერზე ვიყავით ჩამოკიდებული. იმ დღეს ხომ მთელი ქალაქი „დინამოზე“ მიდიოდა. პირზე ყველას ერთთავად ჯადოქარი ბასკების სახელი ეკერა — ლანგარა, გორროსტიცა, სილაურენი, ბლასკო, ეზებარია... მე, ცხადია, არც ერთის გვარი არ გამეგონა. თამაშის დაწყებისთანავე ახლა ერთი და იგივე სიტყვები ჩამესმოდა ყურში: „მიდი, ბორია! მიდი, ბორია!..“ ასე შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში ბორის პაიჭაძე — ტყავის ბურთის განუმეორებელი ოსტატი, ჩემი მუდმივი კერპი, იდეალი და სიყვარული. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ოდესმე თავად მომიწევდა მის გვერდით თამაში...

დიდი საფეხბურთო გზა ჰქონდა გასავლელი მანამდე ავთანდილ ჭკუასელს. 25-ე სკოლაში სწავლობდა ბარნოვზე, მთელი დღე ბურთს დასდევდა, ახალი ფეხსაცმელები დიდი-დიდი ერთი კვირა უძლებდა. ერთ დღეს ყოფილა თანასკოლელებმა, ახლა კი უკვე სტუდენტებმა, ჭოლა ჭყონიამ და გივი ანაურაშვილმა ავთო უნივერსიტეტის გუნდში მიიწვიეს და თავიანთ მწვრთნელს ოტია ჟორდანიას წარუდგინეს სტუდქალაქის სტადიონზე. თამაში ჰქონდათ იმ დღეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდთან. უნივერსიტეტელებს მოთამაშე დააკლდათ და ავთო გამოიყვანეს მინდორზე. გაუმართლათ კიდეც — ერთადერთი, გამარჯვების გოლი სწორედ მან გაიტანა. სულ მალე ნიჭიერი ფეხბურთელი ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლეთა ნაკრებში შეიყვანა მწვრთნელმა თენგიზ სისორდიამ. მათმა გუნდმა ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა და მოთამაშეები ლენინ-სტალინის გამოსახულებიანი ტრადიციული სიგელით დააჯილდოვეს.

1949 წელს ჭაბუკთა ერთ-ერთ მატჩში ა. ჭკუასელის თამაში გაიოზ ჯიჯელავამ ნახა და XI-კლასელ მოსწავლეს იქვე შესთავაზა 35-ე საფეხბურთო სკოლაში გადასვლა. რამდენიმე დღის შემდეგ „ოცდამეთხუთმეტე“ სკოლელები თბილისის „დინამოს“ შეხვდნენ და ყველასათვის მოულოდნელად გაიმარჯვეს 4:2. ავთანდილ ჭკუასელს ამ მატჩში იბრაგიმ სარჯველაძე მეურვეობდა. ავთომ 2 ბურთი გაიტანა და იმავე დღეს (სეზონის ბოლო იყო) „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში აიყვანეს. აქ უკვე თამაშობდნენ ზაურ კალოევი, ალიოშა კოტრიკაძე, აჩიკო კილაძე, შოთა კიტია...

1960 წლის სეზონში თბილისის „დინამოს“ ახალმა უფროსმა მწვრთნელმა მიხაილ იაკუშინმა ა. ჭკუასელი პირველად გამოიყვანა ირიბად შემადგენლობაში. ეს იყო მეორე წრის მატჩები თბილისში „სპარტაკთან“ (1:0) და „დაუგავასთან“ (5:2). დებიუტანტმა საკმაოდ კარგად ითამაშა მოსკოველების წინააღმდეგ, აი რიგელებთან კი არ გამოუვიდა არაფერი. მომდევნო სეზონში „ცბიერ მიხეის“ ა. ჭკუასელი თითქმის ყოველ შეხვედრაში გამოჰყავდა, მაგრამ მხოლოდ 15-20 წუთით. გამოცდილ მწვრთნელს მოსწონდა ახალგაზრდა ფეხბურთელი — უქმდა დრიბლინგს, ფინტებს, დარტყმას, მაგრამ სულ საყვედურობდა ნაკლები მოძრაობისათვის, უბურთოდ იშვიათად თამაშისათვის.

ა. ჭკუასელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ტექნიკური, საზრიანი და აგრესიული ფორვარდი. დღესაც კარგად გვახსოვს დინამოელთა მატჩი თბილისში მოსკოვის „ტორპედოსთან“ 1957 წლის 26 აპრილს. ავთომ მეკარე დენისენკოს კარში ორი ულამაზესი გოლი გაიტანა ღოღობერიძისა და ხოჭოლავას ზუსტი გადაცემის შემდეგ. იმ დღეს („დინამომ“ გაიმარჯვა 2:1) ჩვენს სტადიონზე პირველად გამოავლინეს მატჩის საუკეთესო მოთამაშეები, რომლის ინიციატორი გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ იყო, კერძოდ, რედაქციის ინფორმაციის განყოფილების გამგე, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი მიზეულ კაკაბაძე. სტუმართაგან ჯილდო (ოქროს საათი) მიიღო ნახევარმცველმა ა. ანისიმოვმა, მასპინძელთაგან — ა. ჭკუასელმა.

თავად ავთოს საუკეთესო მატჩად მაინც ცსკა-სთან 1951 წლის შეხვედრა მიაჩნია: 2:0 მოიგეს მასპინძლებმა, და თუმცა ა. ჭკუასელს (მან მეორე ნახევარში ანდრო ზაზროევი შეცვალა) ბურთი არ გაუტანია, პირდაპირ გაწამა არმიელთა გამოცდილი მარცხენა მცველი იური ნირკოვი. ამ დღეს ავთოს მართლაც რომ ყველაფერი გამოსდიოდა: რამდენჯერმე მოაზვედრა ბურთი ძელს, გარდა ამისა, მეკარე ნიკანოროვმა ვაჭრავებით მოიგერია მისი სამი თუ ორი უძლიერესი დარტყმა.

იური ნირკოვი ვახსენეთ. ახლა იგი უკვე გენერალია. იქნებ სწორედ იმ დღეს „ლაბოლმა“ თავმოყვარე მცველი ჩვენს დაუოკებელ თავდამსხმელზე? მაშ რით აიხსნება მის მიერ ერთ-ერთ პუბლიკაციაში ჰელსინკის XV ოლიმპიადაზე იუგოსლავიის გუნდთან სსრკ ნაკრების დამარცხების მიზეზთა შორის ა. ჭკუასელის დასახელება: „არ ესმოდა პარტნიორების, ვინაიდან რუსული არ იცოდა!“

— ჯერ ერთი, ლევ იაშინისა არ იყოს, ფეხბურთს არავითარი ენა არ სჭირდება... გარდა საფეხბურთო ენისა. და მერე, მე ზემელზე დავბადე და გავიზარდე, თუ პუშკინსა და დოსტოევსკისავით არ ვიცი რუსული, თამამად გეტყვით, არც ერთ თბილისელ რუსს არ ჩამოვუვარდები მისი ენის ცოდნაში. ისე კი, კაცმა რომ თქვას, მე და ნირკოვი არ ვიყავით ერთმანეთთან ცუდ დამოკიდებულებაში, მაშ რად დასჭირდა ასეთი სიცრუე? იქნებ ეს, რომ იტყვიან, ჟურნალისტების — გორბუნოვისა და ლევინსონის — ფანტაზიის ნაყოფია, ნირკოვის მონაყოლის ლიტერატურული ჩანწერი რომ მოამზადეს.

მართლაც და, შეიძლება 20 წლის ფეხბურთელმა, ზედმეტი მღელვარების გამო, ოლიმპიადაზე დიდი ვერაფერი თამაში აჩვენა, მაგრამ, იქ დამსწრე სპეციალისტების გადმოცემით, ა. ჭკუასელმა შეასრულა თავისი მისია და საერთოდ არ „გაუფუჭებია“ თამაში. ყოველ შემთხვევაში, იგი ვ. ბობროვის გარდა არც ერთ სხვა თავდამსხმელზე ნაკლები არ იყო ტამპერეს იმ განმეორებით მატჩში იუგოსლავიასთან — 1:3.

ერთი დეტალი: იმავე წელს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე თბილისელები შეხვდნენ ცსკა-ს და დამარცხდნენ დაძაბულ ბრძოლაში 2:3 (მოსკოველებმა უკანასკნელ წუთზე მიაღწიეს გამარჯვებას). თბილისელთაგან ორივე გოლი ა. ჭკუასელმა გაიტანა. განსაკუთრებით ლამაზი იყო მეორე ბურთი.

— მოედნის ცენტრში მივიღე გადაცემა, დავიძარი კარის მიმართულებით, წინ ბაშაკინი გადმელობა, სწრაფად ავუარე გვერდი, ახლა ნირკოვი გამოეძართა ჩემსკენ ჯიქურ, ცრუ მოძრაობით ისიც „ვერიელად“ მოვატყუე და საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დავარტყი ნიკანოროვის კარში. ბურთი ზედა კუთხეში გავიდა. რომ მცოდნოდა მაშინ, ნირკოვი რომ რუსული არ ცოდნას დამწამებდა, იქვე დავუძახებდი ყველას გასაგონად: „უჩან, სტარიკ, ზაბივატ მიაჩი პო-გრუზინსკი!“

...სახელოვანი ფეხბურთელი სიამაყით თუ სინანულით იგონებს განვლილ ბრძოლებს. თუნდაც ისეთებს, როგორიც იყო 1956 წლის ხალხთა სპარტაკიადის მატჩები მოლდავეთის, სომხეთის, უკრაინისა და მოსკოვის გუნდებთან (საქართველოს ნაკრები მაშინ მეორე ადგილზე გავიდა), და კიდევ სბედისწერო შეხვედრას 1953 წელს მოსკოვში, როდესაც ძალით წაგვაგებინეს „ტორპედოსთან“ და... ოქროს მედლები „სპარტაკს“ გადასცეს.

ბევრი, ძალიან ბევრი რამ გაიხსენა იმ საღამოს ჩვენმა გულთბილმა მასპინძელმა — საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის (ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტი) ფეხბურთის კათედრის გამგემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, დოცენტმა ავთანდილ ჭკუასელმა.

გამომშვიდობებისას ჩვენი საამაყო ფეხბურთელი თავის ორ დიდ სურვილს გვიმხელს: მშობლიური თბილისის „დინამო“ და საერთოდ ქართული ფეხბურთი მსოფლიო საფეხბურთო ელიტაში ვიხილოთ და პატარა შვილიშვილი, ოთხი წლის ნიკა (მთელი ჩვენი საუბრის მანძილზე მოსვენებას რომ არ გვაძლევდა ოთახში წითელი ფერის „ტანგოს“ ბურთით გაუთავებელი თამაშით.) პაპასავით ფეხბურთელი გამოვიდეს.

ის ურჩევნია მამულსა...

ოთარ ნოზაძე

სურათზე: წამიც და ა. ჭკუასელი ბურთს გაიტანს მოსკოვის „სპარტაკის“ კარში. მის გვერდითაა შოთა იმანიძე, ხოლო მეტოქეთაგან ი. ნეტო, ნ. ტიშენკო და ა. პარამონოვი ცდილობენ სახიფათო მომენტის უვნებელყოფას.

ფეხბურთის ამბები

● ლონდონის „უემბლის“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ინგლისის ეროვნულ ნაკრებსა და XV მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს შორის. ანგარიშით 2-0 გაიმარჯვეს ინგლისელებმა.

● მოსკოვში გაიმართა რუსეთისა და გერმანიის ფეხბურთელთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩები. პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნების ახალგაზრდული გუნდები, გამარჯვებას მიაღწიეს მასპინძლებმა — 2-0. მეორე დღეს ითამაშეს ეროვნულმა ნაკრებებმა. აქ კი უპირატესობა გერმანელთა მხარეს იყო — 1-0, ეს ბურთი გაიტანა შტეფან კუნცმა.

● 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას სამხრეთ ამერიკის „ლიბერტადორესის“ ტრადიციული თასის გათამაშებაში. ამ საკლუბო ტურნირში გამოდიან ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაის, კოლუმბიის, ჩილეს, პარაგვაისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, ფაქტიურად, ეს არის სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება. მონაწილეთა შორის არიან არგენტინის „ველეს სარსფილდი“, პარაგვაის „ოლიმპია“, ბრაზილიის „კრუზეირო“, ურუგვაის „ნახიონალი“, არგენტინის „რივერ-პლეიტი“, ჩილეს „კოლო-კოლო“, კოლუმბიის „აბლეტიკო ნასიონალი“, და სხვანი.

● ცნობილი გახდა, რომ მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი ვალერი შმაროვი კონტრაქტის დადებას აპირებს გერმანიის მეორე ლიგის წარმომადგენელ „საარბრიუკენთან“, სადაც უკვე გამოდის სხვა მოსკოველი ფეხბურთელი, დინამოელი სერგეი კირიაკოვი.

● კენიის საფეხბურთო სტადიონზე ბოლო ხანებში ხშირად ხდება სკანდალები. ხან ფეხბურთელები არ ეთანხმებიან არბიტრებს, ხან გულშემატკივრები გადადიან მინდორზე, დებოშს სტეხენ, სულ ახლახანს კი ასეთი ამბავი მოხდა: ქალაქ მალაკისში ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი და ქ. ნიუტას გუნდები. ანაზდად მინდორზე შემოიჭრა ძროხა, რომელიც ფეხბურთელებს დაერია თავისი წვეტიანი რქებით. გამოირკვა, რომ ძროხას სანაგვეში მიურთმევია არყის გამოსახდელი მცენარის ნარჩენები „კამასიფა“ და... დამთვრალა. დანარჩენი თქვენ უკვე იცით.

გადარჩენა: ხეთაფოლნატის ბედ

მსოფლიოს ჩემპიონატში V-VI ადგილი ჰქონდა. წლევანდელი ტურნირი მარცხით დაიწყო ამერიკელ კევინ ჯეკსონთან. სამაგიეროდ, მეორე წრეში ივარგა, დაჯანა რუსეთის წარმომადგენელი რუსტემ ქელეხსაევი და მესამე წრეში ჭიდაობის უფლება მოიპოვა ბელარუს ალექსანდრ სავკოსთან. მაგრამ ეს ზღურბლი მისთვის გადაულახავი გამოდგა და საბოლოოდ იგიც უადგილოდ დარჩა.

90 კგ. ელდარ კურტანიძე (სოხუმი). მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს პრიზიორი რომ უმეტესად დარჩა, დიდი უსამართლობაა, მაგრამ რას იზამ. ბოლო დროს კაცი ყველაფერს ეჩვევა და იმასაც შევეჩვიეთ, რომ ელდარი მესამე წრის შემდეგ საკმაოდ საეჭვო სიტუაციაში გამოეთიშა ესპარეზობას. პირველ წრეში კურტანიძემ მოუგო მსოფლიოს ექსჩემპიონს იოზეფ ლოგინიას (სლოვაკია), მეორეში გზიდან ჩამოიცილა უნგრელი პ. ბაკსა. მერე კი მისი მეტოქე იყო ირანელი რ. ქადემი, მოჭიდავე, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჩემპიონი გახდა. შეხვედრისათვის განკუთვნილი დრო ფრედ (0:0) დამთავრდა. უძლიერესი ვერც დამატებითმა სამმა წუთმა გამოავლინა და აი მაშინ შუამავალმა მსაჯმა, თავისი შეხედულებით ხელი აუწია ირანელს, რასაც დანარჩენი არბიტრებიც უსიტყვოდ დაეთანხმნენ. ნაცნობი და გასაგები სიტუაციაა თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საჭიდაო დარბაზი სავსე იყო საკმაოდ ექსპანსიური და აგრესიულად გაწყობილი ირანელი გულშემატკივრებით, საბოლოოდ კურტანიძეს X ადგილი ხვდა.

130 კგ. ზაზა თურმანიძე (თბილისი). ამ მოჭიდავესა და ნაკრების მწვრთნელს წარდგინება, ცხადია, არ სჭირდება. პირველ წრეში თურმანიძემ აჯობა გერმანელ სვენ ტილეს. არადა, ეტყობა უმჯობესი იქნებოდა სასტარტო ბრძოლა წაეგო. მაშინ იგი გადავიდოდა მეორე ჯგუფში, აცდებოდა ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონს ბაუმჰარტნერს (აშშ) და მესამე ადგილისათვის ბრძოლის უფლებას მოიპოვებდა. მაგრამ თურმანიძე არ წავიდა დამამცირებელ მანევრზე და მეორე წრეში ამერიკელს შეხვდა. ხუთმა წუთმა უძლიერესი ვერ გამოავლინა (2:2). დამატებით დროში ბაუმჰარტნერს ორი გაფრთხილება ჰქონდა მიღებული პასიურობისათვის, თურმანიძეს — ერთი. ასე რომ დამთავრებულიყო ორთაბრძოლა, გამარჯვება ქართველ მოჭიდავეს დარჩებოდა. ზაზა ბოლოს აქტიურობდა, ცდილობდა ილეთის ჩატარებას და აი სწორედ ამ დროს დაკარგა წამით სიფრთხილე და მეტოქემ ერთადერთი საბედისწერო ქულა აარიგა. თურმანიძესაც საბოლოოდ X ადგილი ერგო.

„ლელოს“ კორესპონდენტი ამ ჩემპიონატთან დაკავშირებით ესაუბრა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტს ვლადიმერ იაშვილს, რომელიც თან ახლდა გუნდს სტამბულში.

● **როგორ აფასებთ ქართველ მოჭიდავეთა გამოსვლას თურქეთში?**

— მედალი მართალია ვერ მივიღეთ, მაგრამ ცუდად არ გვიჭიდავია.

● **მიზნად რას ისახავდით გამგზავრებამდე?**

— დღესდღეობით ერთადერთი შანსი გვაქვს — უნდა გადავრჩეთ. უნდა შევინარჩუნოთ საჭიდაო სკოლები, მწვრთნელები, სპორტსმენთა კონტიგენტი. ეს რომ ვერ მოვახერხოთ, ჭიდაობა გადაშენდება და მერე უკვე, მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იქნება. ვიმეორებ, ამ ეტაპზე მთავარი გადარჩენაა.

● **ამბობენ, მოჭიდავეები, ბევრს დადიან და ფულსაც ბევრს ხარჯავენო. რას იტყვით ამაზე?**

— შეჯიბრებებზე თუ არ ვიარეთ, ყველაფრის დაწყება ნულიდან მოგვიხდება. აბა წარმოიდგინეთ, რაზომ ივლის ახალგაზრდა სავარჯიშოდ თუ იცის, რომ შეჯიბრებებზე ვერ წავა?

● **ნუთუ მართლა ასე დიდძალ ფულს ხარჯავთ?**

— როგორ გეკადრებათ. წლეულს ერთადერთი ორკვირიანი შეკრება ჩავატარეთ. ეს იყო და ეს. ღმერთი ააშენებს საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, რომელმაც ეს შეკრება მოგვიწყო. აგრეთვე სპორტის დეპარტამენტს, რომელმაც მგზავრობის ხარჯები გაიღო. სხვაგვარად ვერსად წავიდოდით და შინ დავრჩებოდით.

● **რას ფიქრობთ მომავალზე?**

— ჩვენი მომავალი ოლიმპიადაა. დაგვრჩა მზადების ორი წელი. მედლებისათვის ბრძოლა შეგვიძლია, ოღონდ მცირედი ხელშეწყობა იქნება საჭირო. ზემოჩამოთვლილ მოჭიდავეთა გარდა გვყავს ახალგაზრდები: ნიკო ბეგაშვილი (82 კგ), დავით ბიჩინაშვილი (74 კგ.), თამაზ გეგეშიძე (82 კგ) და სხვები, რომლებსაც მოვამზადებთ საპასუხისმგებლო სტარტებისათვის.

● **დაბოლოს, ერთი ასეთი შეკითხვა: სტამბულში, საერთაშორისო ფედერაციამ, თუ არ ვცდებით, ჭიდაობის ახალი წესები გამოაცხადა. რაში მდგომარეობდა იგი?**

— სიახლე შემოიღეს ჭიდაობის წესებში კი არა, მის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მაგრამ ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ სიახლემ, არ გაამართლა. სტამბულში უკვე იყო საუბარი იმის შესახებ, რომ გაისიდან ეს სიახლე გაუქმდება.

● **იქნებ მოკლედ გაგვაგებინოთ რაში მდგომარეობდა სიახლე?**

— ახალი წესის თანახმად, მარცხი პირველ წრეში არაფერს ნიშნავს, მოჭიდავე განაგრძობს ბრძოლას. სამაგიეროდ, მეორე წრეში წაგების შემდეგ (თუნდაც პირველი მოგებული ჰქონდეს) იგი ფიზიკურად ეთიშება ბრძოლას. სტამბულში გაიმართა ფედერაციის კონგრესი, რომელზეც პირველად ხმა ამერიკელებმა აიმაღლეს. მათ ყველამ დაუჭირა მხარი, მათ შორის ჩვენც. და სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა, რომ ეს სიახლე გაისად გაუქმდება...

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება ხელბურთში • ვაქები • საკვალიფიკაციო განმეორებითი შეხვედრა.

თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი. 11 სექტემბერი.

„მამული“ (თბილისი) — „უმუდი“ (ბაქო) 34:30 (15:13).

„მამული“: ჯაფარიძე (1), კალანდაძე (14), ღლონტი (6), არსენაშვილი (6), გოჩა მაღლაქველიძე (3), ჯიაძე (2), ბარბაქაძე (2)

„უმუდი“: ხ. იბრაჰიმოვი, მამედოვი (9), საეჩენკო (8), აბასოვი (2), ჰ. ალიევი (2), ი. ჯაფაროვი (2), ი. ალიევი (2), ჩუპროვი (3), თ. იბრაჰიმოვი (1), ფაბრიჩნი (1).

მსაჯები: ვალენტინ ვაკულა და ალექსანდრე ლუდოვიკი — (ორივე — უკრაინა, ლვოვი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი).

პირველი შეხვედრის შემდეგ ხელბურთის სპეციალისტები თბილისელებს უწინასწარმეტყველებდნენ შემდეგ ეტაპზე გასვლას. როგორც ჩანს, ბაქოელებმა რეალურად შეაფასეს ჩვენი სპორტსმენების შესაძლებლობები და თხოვნით მიმართეს საქართველოს ხელბურთის მესვეურთ თბილისში გამართულიყო განმეორებითი შეხვედრა. მასპინძლები შემოთავაზებულ წინადადებას თავაზიანად დაეთანხმნენ, ევროპის ხელბურთის ფედერაციიდან თანხმობა მიიღეს და მატჩიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში შედგა.

პირველ შეხვედრაში მოპოვებულ 20-ქულიანი მარაგით გულდამშვიდებული თბილისელები შედარებით დინჯად გამოვიდნენ საასპარეზოდ, თუმცა მეტოქეს გამარჯვების არავითარი შანსი არ დაუტოვეს და საბოლოოდ იმარჯვეს კიდეც — 34:30. ქართველი ხელბურთელები გავიდნენ თასის გათამაშების შემდეგ ეტაპზე, სადაც მათი მეტოქე იქნება უკრაინის ქალაქ ბროვარის მეტად ძლიერი გუნდი „სვეტოტეხნიკი“.

თბილისის „შევარდენმა“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე ორივე შეხვედრა ითამაშა სტუმრად სლოვაკეთის „ლოკომოტივთან“ და ორივეში დამარცხდა ანგარიშით 17:30 და 17:32.

ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში

ჩემპიონთა თასი

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 სექტემბერი

„ვითა“ (თბილისი) — „ბროცენი“ (რიგა, ლატვია) 80:88 (35:32)

„ვითა“: სანაძე (15), ჩერქეზიშვილი (13), ვაშაკიძე (12), კობეშავიძე (12), შენგელია (11), კორძაძე (6), ორმოცაძე (6), ტურაშვილი (3), კოკოლიშვილი (2).

„ბროცენი“: მუჟნიეკსი (24), ვეტრა (18), ვალეიკო (14), ზეიდაკსი (10), ბონდარენკო (10), ლიეპა (7), მელნიკი (5).

მსაჯები: ლეშეკ რაკოცი (პოლონეთი), კესტუტის პილპაუსკასი (ლიტვა), როლანდ ხომერიკი (საქართველო). უველა — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი.

კორაჩის თასი

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 სექტემბერი.

„მერანი“ (თბილისი) — „ბიპა-მოდა“ (ოდესა, უკრაინა) 73:100 (37:45).

„მერანი“: ცხვედიანი (29), უძილაური (15), ფერიაშვილი (10), ბერუაშვილი (7), ტალაბაძე (7), ცაგარეიშვილი (3), გაბრიჩიძე (2).

„ბიპა-მოდა“: პუდზირეი (27), შპურტი (14), ზინჩუკი (14), უსენკო (9), იუშკინი (9), ჩაუსოვი (6), მიხაილოვი (6), პონომარიოვი (5), კუზნეცოვი (4), გერგელი (3).

მსაჯები: რიჩარდ იაბლონსკი (პოლონეთი), გაბორ მიშურა (უნგრეთი), როლანდ ხომერიკი (საქართველო). ყველა — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი.

14 სექტემბერს გაიმართა საქართველოს თასის მეხუთე გათამაშების 1/16 ფინალის პირველი მატჩები:

„დილა“ (გორი) — "ეგრისი" (სენაკი) 5-0
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „სამტრედია“ (სამტრედია) 1-0
„ენინვალი“ (ენინვალი) — „კახეთი“ (თელავი) 0-5
ასკ (თბილისი) — „ქიზიყი“ (წნორი) 0-0
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1-2
„ჭაბუკიანი“ (ჭაბუკიანი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 0-1
„ივერია“ (ხაშური) — „შირაქი“ (დედოფლისწყარო) 3-1
„სიონი“ (ბოლნისი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 2-5
„დინამო (ზუგდიდი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2-1
„მესხეთი“ (ახალციხე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 4-1
„მეშახტე“ (ტყიბული) — „ტორპედო (ქუთაისი) 2-6
„აზოტი“ (რუსთავი) — „იბერია“ (თბილისი) 4-1
„მერანი-91“ (თბილისი) — „ზოოვეტი-ანცი“ (თბილისი) 1-1

განმეორებითი მატჩები გაიმართება 28 სექტემბერს.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ავთანდილ ჭკუასელი

კიდევ ერთი საშინელი სულისშემძვრელი ტკივილი — ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული ფეხბურთის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამაგდარი ადამიანი, ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელი და პიროვნება ავთანდილ ჭკუასელი.

საოცრად ნიჭიერი, თავისებური, უნიკალური ტალანტის მოთამაშე განლდათ და ასეთი მონაცემებიც მხოლოდ გამორჩეულთ თუ აქვთ. დაიბადა 1931 წელს თბილისში, სწავლობდა ცნობილ 35-ე სკოლაში, 1949 წელს მიიწვიეს თბილისის „დინამოში“, სადაც გამოდიოდა გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელებთან მხარდამხარ, შემდეგ კი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მიიღო მონაწილეობა ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში.

საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრება განვლო ავთანდილ ჭკუასელმა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ითამაშა თბილისის „ლოკომოტივის“, „დინამოს“, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამეურნეო დაწესებულებას, 1974 წლიდან იყო საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მთავარი მწვრთნელი, სამმართველოს უფროსი, ხოლო 1984 წლიდან სათავეში ედგა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრას, ჰქონდა დოცენტის წოდება.

თავზარდამცემია იმის შეგრძნება, რომ ჩვენგან სამუდამოდ წავიდა იშვიათი ნიჭის, მაღალი ზნეობის, რაინდული ბუნებისა და ფართო ერუდიციის ადამიანი. მისი ხსენება არასოდეს წაიშლება იმათ ხსოვნაში, ვინც კი მას ახლოს ან ფეხბურთის თამაშით იცნობდა, ხოლო შთამომავლობას მარად სამაყოდ და სასიქადულოდ ექნება ის, რომ წინაპრად ჰყავდა ასეთი შესანიშნავი კაცი — ავთანდილ ჭკუასელი.

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტი;
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი;
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია;
გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.**

არმენ ბურდიანცი



23 წლისა, მოულოდნელად გარდაიცვალა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი კრივში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული არმენ ბურდიანცი.

თბილისელი ჭაბუკი კრივის სიყვარულმა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებულ სპორტსკოლაში, მწვრთნელ დავით შიუკაშვილთან მიიყვანა. თავიდანვე გამოირჩეოდა მეცადინეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, რამაც მას სულ მალე მოუტანა წარმატებები, ჯერ ადგილობრივი, ხოლო შემდეგ საერთაშორისო მასშტაბის ასპარეზობებში. კრივის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე, სადაც მრავალი ქვეყნის ახალგაზრდა სპორტსმენებთან ბაეკრობაში ა. ბურდიანცმა ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. ასე მიიწევდა იგი მსოფლიო პირველობისაკენ და 1989 წლის ზაფხულში პუერტო-რიკოს რინგზე უძლიერესის ტიტულს დაეუფლა მძიმე წონაში.

ა. ბურდიანცმა დამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, დიდ საქველმოქმედო დახმარებას უწევდა ჩვენს კრივს.

ამ თავმდაბალი სპორტსმენის ხსოვნა დიდხანს დარჩება მის მეგობრებსა და კოლეგებს შორის.

**საქართველოს კრივის ფედერაცია,
საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლა.**

ერ ბიდეგან ბიბლიოფილი ეკ

ძნელია დაიჯერო გოდერძი ჩიტაშვილის სიკვდილი. სულ ცოტა ხნის წინ ჩვეული მონდომებითა და ენერგიით ტრიალებდა ფალავანთა კლუბში, რომლის ხელმძღვანელიც იყო 1967 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. საქართველოში არ მოიძებნება მოჭიდავე პატივისცემითა და მოწიწებით რომ არ ყოფილიყო გამსჭვალული ამ ალალ-მართალი, პატიოსანი და უღალატო კაცის მიმართ.

13 წლის ასაკში ეზიარა ჭიდაობის სიბრძნეს მწვრთნელ გიორგი ვარძელაშვილის ხელმძღვანელობით. წარმატებასაც მალე მიაღწია, თანაც საქვეყნოს — იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის. მერე დიდებში 1952 წელს ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა კლასიკურ ჭიდაობაში...

მეგობრებმა ჭიდაობის ფედერაციიდან გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე მოინახულეს საწოლს მიჯაჭვული მძიმე ავადმყოფი. გოდერძის სიტყვაც არ დაუძრავს თავის გასაჭირზე, უკიდურესად უმძიმეს მდგომარეობაზე. იგი საუბრობდა ფალავანთა კლუბის თანამშრომელთათვის პირობების შექმნაზე, რათა ეს უკანასკნელნი კეთილსინდისიერად მომსახურებოდნენ ნაკრების წევრებს. არადა, გასაკეთებელი მართლაც ბევრი რამ იყო ზამთრის სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით...

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ ცხოვრებას ერთი იდეის სამსახურს შეალევენ ხოლმე.

გოდერძი ჩიტაშვილისთვის ასეთი იდეა ჭიდაობა და ამ სფეროში ადამიანებისადმი უანგარო სამსახური იყო.

**საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია.**

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ფეხბურთელი, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე

ავთანდილ ჭკუასელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ფეხბურთის კათედრის გამგე

ავთანდილ ჭკუასელი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

პრიმინალური ქრონიკა

აბვისტოს ბოლო დღეს ბულგარეთის დედაქალაქის ცენტრში უცნობმა პირებმა რამდენიმე გასროლით მოკლეს ბულგარეთის სპორტკავშირის ხელმძღვანელი ცვეტან ცვეტანოვი. მკვლელები მიმალნენ. დაიწყო ძიება.

ორი მამაკაცი დაიღუპა და 26 მძიმედ დაშავდა — ასეთი შედეგით დამთავრდა მატჩი აფრიკის თასზე მონროვიაში ლიბერიისა და ტოგოს ნაკრებ გუნდებს შორის. იგი მასპინძლებმა მოიგეს — 1:0. ტრაგედია სწორედ ამ გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის მიზეზით მოხდა. ცენტრალურ ტრიბუნას მიაწყდა უამრავი ხალხი, ხის საყრდენებმა ვერ გაუძლო დაწოლასდა ნახევარი ტრიბუნა ჩამოინგრა.

სულ მალე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია განიხილავს საჩივარს „მაკლარენ-ბენეთონ“ გუნდზე, რომელიც „ფორმულა-1“-ში იყენებდა წლეულს აკრძალულ გადაცემათა ავტომატურ კოლოფს. კონკრეტულად დანაშაული ჩაიდინა გუნდის ერთმა მონაწილემ — ფინელმა მიკ ჰაკინენმა. ეს მოხდა წლევანდელი „ფორმულის“ პირველ ეტაპზე სან-მარინოში, სადაც ჰაკინენმა III ადგილი დაიკავა.

როგორც ვიუწყებოდით, ნიგერიელმა ფეხბურთელმა ემანუელ ამუნიკემ ერთბაშად ორ კლუბთან („დუისბურგთან“ და „სპორტინგთან“) გააფორმა კონტრაქტი, რაც კანონით აკრძალულია. ფიფა-მ საქმე შეისწავლა და დაადგინა, რომ დანაშაული ჩადენილია უცოდინარობით, საერთაშორისო ხელშეკრულებათა გაფორმების წესის არცოდნის გამო. ამიტომ ამუნიკე არ დაუსჯიათ, დავა კი „სპორტინგის“ სასარგებლოდ გადაწყდა.

სპორტული ტელეეკრანი

„ოსტანკინო“

16 სექტემბერი. 0.10. რუსეთის ჩემპიონატი ჰოკეიში. ცსკა — „კრილია სოვეტოვი“. II-III პერიოდები.

18 სექტემბერი. 22.50. სპორტული ფიჭ-ენდი. 0.15. რუსეთის ჩემპიონატი ფეხბურთში. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი).

„რუსია“

17 სექტემბერი. 15.05 ფეხბურთი უსაზღვრებოდ.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამგიდო-კომპიუტერული სისტემით.

**ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი.**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“